განიაროვიზირების მკვეთრ სურათს ცდის VI ვარიანტი იძლევა, როდესაც აღნიშნული ჯიშების იაროვიზირებული ლივები უფრო ცხელ პირობებში დაითესა. ამ შემთხვევაში რეპროდუქციული ფაზის დამთავრება ვერცერთმა ჯიშმა ვერ შეძლო, ხოლო ამ ფაზის დაწყებითი თარიღი 149—160 დღის ხანგრძლივობით განისაზღვრებოდა.

გაშასაღამე, მოცემულ მასალათა განხილვის საფუძველზე შესაძლებელია ალვნიშნოთ, რომ:

1. სტადიური განვითარების ნორმალური პროცესი გარემო ფაქტორთა მოქმედებითაა განსაზღვრული.

2. კერძოდ, გარემოს მოჭარბებული თერმიული რეჟიმი იწვევს იაროვიზირებული ბუნების შეჩერებას, ზოგ შემთხვევაში თვისობრივ ცვლილებებს, რომელთა საფუძველზე მოსალოდნელია იაროვიზირებულ მცენარეთა ბუნების ნაწილობრივი ან და სრული შექცევადობა.

3. „განიაროვიზირების“ რეაქციას ადგილი აქვს ქართულ ხორბალთა ორთვე ჯგუფში. მაგრამ „განიაროვიზირების“ ელემენტები უფრო მყაფიოდ გრძელ-სტადიურ ჯგუფში მოსჩანს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 15.3.1945)

## ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ

В. Л. МЕНАБДЕ

### ЯВЛЕНИЯ ОБРАТИМОСТИ СТАДИЙНЫХ ИЗМЕНЕНИЙ

#### Резюме

Одно из основных положений теории развития гласит, что стадия развития, в частности, стадия яровизации имеет характер необратимых качественных изменений. «Клетки растения, обладающие качествами стадии яровизации, нельзя возвратить к начальному (до яровизации) состоянию... Нам неизвестен ни один случай возможности разъяровизирования яровизованных растений» [3].

В процессе изучения стадийности и условий среды нами было замечено, что формы грузинских озимых пшениц, прошедшие стадию яровизации в состоянии проростков и потом культивируемые в условиях тбилисской поздне-весенней температуры, испытывали определенную депрессию в развитии, что внешне выражалось в чрезмерном растягивании фазы колошения или же в чрезмерном запаздывании колошения, в ненормальном колошении отдельных растений (выбрасывание единичных колосоносных стеблей при наличии массового колошения) или же в полном прекращении развития. В последнем случае (при полном прекращении развития) растения вели себя так, как это бывает с растениями, не прошедшими стадию яровизации. В общем, в таких случаях развитие растений, прошедших от яровизованных проростков, шло по типу неяровизованных озимых, высеванных весной.

Как нам удалось заметить, в условиях нашего опыта (Тбилиси)

все формы озимых грузинских пшениц, прошедшие в период проростков стадию яровизации, проходят нормальный путь развития в том случае, если они будут высеваны в ранний весенний период — календарно не позже середины марта. Посев их в более поздние сроки (во второй половине марта) вызывает некоторое торможение в развитии растений. Яровизованные проростки пшениц, высеванные в первой декаде апреля, еще более испытывают депрессию в стадийном изменении. С передвижением срока посева во вторую декаду апреля количество «разъяровизированных» форм постепенно увеличивается и степень «разъяровизирования» в зависимости от стадийной природы сорта колеблется в пределах 10—60%. Торможение процессов яровизации не снимается удлинением периода яровизации до 70 дней при температуре среды в 0—3°C (в среднем 1,8°). Тормозящее действие высокой температуры частично может быть снято удлинением дня. Так, нам удалось в условиях круглосуточного дня (электрический свет в 1200—980 lx.) вызвать полное или же частичное колошение (см. III и IV варианты опыта), тогда как в условиях обычного дня эти же формы или вовсе не колосились, или же колосились частично.

На приведенной таблице показаны нормы яровизации в днях, температурные условия в период прохождения яровизации, дата посева каждого варианта и реакции сортов на нормы яровизации в зависимости от срока посева и характера стадии.

Как видно из таблицы, (см. 1-б) торможение процессов яровизации особенно резко выражено у длинно-стадийной группы грузинских пшениц. Данная группа пшениц, яровизированная в продолжении 40 дней и посеванная 8 марта, завершила цикл развития вполне нормально, но, когда она была высевана 8 апреля, эта норма яровизации оказалась явно недостаточной. При данной норме яровизации наблюдался или вегетативный рост, или же частичный выход в трубку (*Triticum vulgare v. ferrugineum* 39—187). Только в условиях круглосуточного освещения некоторые пшеницы данной группы (*Triticum vulgare v. erythrosp.* 39—194) вышли в трубку (7.VII) и в состоянии трубки пребывали до конца июля, после чего стали засыхать, не развив ни одного колосоносного стебля. Только удлинение нормы яровизации до 70 дней дало возможность частично перейти в генеративное развитие. При этом, в условиях более «прохладного климата» (северный склон Тбилисского ботанического сада, вариант V) абсолютное большинство растений данной группы пшениц (95—95,5%) колосилось, но колошение было чрезмерно растянуто (20.VI—23.VII) и число колосоносных стеблей в растениях было незначительно. В условиях же более жаркого климата (южный, сильно-обогреваемый склон Тбилисского ботанического сада, где  $t^{\circ}$  достигала до 40—47°C, см. вариант VI) развитие шло весьма депрессивно: обильное кущение, сравнительно массовый выход в труб-



ку, но весьма вялое, единичное колошение, в результате: небольшое количество колосившихся растений (48—57,3%). Таким образом, количество «разъяровизированных» растений в этом варианте (VI вариант) варьировало в пределах 42,7—52%, тогда как в условиях V-го варианта было всего 3,5—5%.

Торможение процессов яровизации наблюдается и среди форм коротко-стадийной группы пшениц (см. вариант V и VI на таб. 1-а).

Академия Наук Грузинской ССР  
Тбилисский Ботанический институт

(30304223770 ЛЮТИЕЛЮТИШКА—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. З. Б. Б. д. г. Яротушл өсөрбадалтуу гаңбыятаражыбысы Сүрэлийнрека. № 3, 1945.
  2. А. Ефейкин. Действие повышенной температуры на яровизированную озимую пшеницу. Доклады АН СССР, т. XXV, № 4, 1939.
  3. А. Ефейкин. О разъяровизации яровизированной озимой пшеницы. Доклады АН СССР, т. XXX, № 7, 1941.
  4. Т. Лысенко. Теоретические основы яровизации, 1936.
  5. В. Скрипчинский. Индивидуальное развитие и стадийность однолетних и многолетних растений. «Успехи современной биологии», № 3, 1940.

მცხვარეთა ფიზიოლოგია

6. კახიძე

ცუვის ფოთლის ეპიდერმისის ციტოფიზიოლოგიური გამოკვლევა

სხვადასხვა მცენარეში უჯრედის რეაქციის შედარებითი ანალიზისათვის ეპიდერმისის გამოყენების მიზნით ჩვენ ჩავატარეთ ნუშის ფოთლის ეპიდერმისის უჯრედების წინასწარი გამოკვლევა. მცენარეთა დახასიათებისათვის უჯრედის რეაქციის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება მდიდარი ლიტერატურა, რომელიც უმთავრესად ეხება სხვადასხვა მცენარებსა და სხვადასხვა ქსოვილებში pH-სა და rH-ის განსაზღვრის საკითხს [5, 11].

როდესაც ვსინჯავთ ფოთლის ქვედა მხარის ეპიდერმისის უჯრედებს, უწინარეს ყოვლისა, შეიძლება აღნიშნოთ ის ფაქტი, რომ ეპიდერმისი არ წარმოადგენს ერთნაირ უჯრედთა კრებულს. არა მარტო ბაგეების ფუნქციონალურად სკეპტიკური უჯრედები [15, 16], არამედ ეპიდერმისის ბაგეთაშორისი უჯრედებიც კი ამჟავნებენ სხვადასხვაობას კოლოიდურ და ტინქტორულ თვისებათა მხრივ. ფოთლის განივი კვეთის პარალელურმა გამოკვლევამ საშუალება მოგვცა ეპიდერმისის უჯრედთა ეს სხვადასხვაგვაროვანი მდგომარეობა დაგვეკავშირებია ფოთლის პარენქიმის ცხოველმოქმედებასთან.

უჯრედთა კოლოიდურ-ქიმიური და ფიზიოლოგიური მდგომარეობის დასაღენად ჩვენ ჩავატარეთ გამოკვლევები ბნელ არეზე დისპერსიულობის განსაზღვრავად და გამოყენებული იყო შელებვა ნეიტრალროტითა (კონცენტრაცია 1 : 10.000) და ტოლუიდინბლუტი (1 : 10.000). ნეიტრალროტის ხმარებისას მიღებული ელფერის მიხედვით ისაზღვრებოდა უჯრედთა pH, შელებვის ინტენსივობის მიხედვით კი—მათი გამჭილობა. დაკვირვება, რომელიც ჩავატარეთ გრანულების წარმოქმნაზე ნეიტრალროტით შელებვის დროს, პლაზმოლიზის ფიგურათა გამოკვლევასთან ერთად, საქმარისად ნათელი აღმოჩნდა მსჯელობისათვის გაპლაზმოლიზებულ უჯრედთა შედარებითი სიბლანტის შესახებ. ტოლუიდინბლუტი შელებვის მიხედვით სწარმოებდა უჯრედთა დაუანგვა-ალდგენითი რეაქიმის დადგენა.

ეპიდერმისის უჯრედთა ნეიტრალროტით შელებვისას შემჩნეული იყო უჯრედთა შემდეგი განაწილება pH-ის მიხედვით. ბაგეები შელებილია ვარდის-ფრად, უშავლოდ ბაგეების მახლობლად მოთავსებული უჯრედებიც აგრეთვე ვარდისფერია. ეპიდერმისის უჯრედთა ძირითადი მასის შორის (მათ აღნიშნავთ, როგორც ბაგეთაშორის უჯრედებს) გვხვდება, უმთავრესად, ხორცისებრ-ჭითელი და პომიდორისებრწითელი უჯრედები, უფრო იშვიათად კი—მურა ფერის უჯრედები. თუ ნეიტრალროტის ელფერებს განვიხილავთ როგორც უჯ-



რედის pH-ის ინდიკატორს, შეიძლება დავაღინოთ გარევეული კანონზონიერება ეპიდერმისის უჯრედთა მეზაიანობის რეჟიმის მიმართ. ყველაზე უფრო მეზავე ვარდისფერ-იისფერი ბაგის მახლობლად მდებარე უჯრედები, ოდნავ ჩამორჩება მათ, მაგრამ აგრეთვე საქმარისად მეზავე ბაგეთა უჯრედები და ძარღვის ზედა უჯრედები, ბაგეთაშორის უჯრედებში გვხვდება როგორც ტუტე (მურა ფერის), ისე მეზავე და თითქმის ნეიტრალური რეაქციის მქონე უჯრედები (პომიდორისებრ-წითელი). ფოთლის განივი კვეთის გამოკვლევა საშუალებას იძლევა დაუკავშიროთ ეპიდერმისის სხვადასხვა უჯრედები ამათუმ უბანს. მეზავე უჯრედები ლოკალურად დაკავშირებულია, უმთავრესად, ფოთლის პარენქი-მაში არსებულ ღრუებთან. ცალკეული, ყველაზე უფრო მეზავე უჯრედები ბაგეთა-შორისი უჯრედებიდან, როგორც წესი, განლაგებულია ქლოროფილმოკლებულ და აგრეთვე მეზავე რეაქციამოკლებულ პარენქიმის უჯრედებს ზევით.

ვიყენებთ რა ნეიტრალროტით შეღებვის ინტენსივობას გამჭოლობის და-სადგნად, შეიძლება დავაღინოთ, რომ ყველაზე ნაკლები გამჭოლობა ძველ ბაგის უჯრედებს, მათთან შედარებით ცოტა უფრო მეტი გამჭოლობა ახასია-თებს მურა ფერის ბაგეთაშორის უჯრედებს, ე. ი. მკვეთრად ტუტებს, შემ-დეგ, აღმავალი რიგის მიხედვით, განლაგებულია ვარდისფერი და ხორცისებრ-წითელი უჯრედები, ე. ი. მეზავები და, ბოლოს, პომიდორისებრწითელი (თით-ქმის ნეიტრალური) უჯრედები. ამრიგად, ბაგეთაშორის უჯრედებში გამჭოლო-ბა მატულობს მეზავიანობის დაცვისათან ერთად.

ნეიტრალროტით შეღებვის დროს მეზავე უჯრედებში ჩვეულებრივ შეიძ-ლება შევამნიოთ გრანულების დაგროვება [1]. როდესაც ნეიტრალროტით შე-ღებილი ეპიდერმისის ნაწილი თაღვადება  $\text{KNO}_3$ -ის ერთმოლარულ ხსნარში, გაპლაზმოლიზირებულ უჯრედებში მკვეთრი განსხვავებები ჩანს. თუმცა მათ უმეტესობას თალფაქისებრი პლაზმოლიზი იქვს, რაც კალიუმის იონთა მოქმე-დებით არის გამოწვეული [4, 3], მაგრამ თალფაქების ფორმა მათში იღნავ სხვანაირია. ტუტე უჯრედებს, რომლებიც ყველაზე სწრაფად განიცდიან პლაზ-მოლიზს (15 წუთის შემდეგ უკვე სრული პლაზმოლიზია), აქვთ წესიერი მრგვა-ლი ფორმის თალფაქები. გრანულები მათ მახლობლად არ არის, მოსხანს მხო-ლოდ გაუალები. ტუტე უჯრედთა სრული პლაზმოლიზის დროს ყურადღებას იქცევს პლაზმის სტრუქტურიზაცია. გარდა ამისა, ამ უჯრედებში ჰიპერტონიის პირობებში საქმაოდ სწრაფად ხდება ნეიტრალროტის კრისტალების გამოყო-ფა. პლაზმოლიზის ხასიათი და ის გარემოება, რომ უჯრედში გრანულები არ არის, მიუთითებს ამ უჯრედთა პლაზმის დაბალ სიბლანტეზე, ხოლო წარმო-შობილი სტრუქტურიზაცია და ნეიტრალროტის კრისტალების გამოყოფა კი— მათ რამდენადმე ჩახშობილ მდგომარეობაზე.

უფრო ნელა განიცდის პლაზმოლიზს პომიდორისებრწითელი უჯრედები, ამასთან მათი თალფაქებიც მომრგვალოა, დიფუზურად შეღებილი, მაგრამ გრა-ნულები ჯერ კიდევ არ არიან.

ხორცისებრწითელ უჯრედებში თალფაქების ფორმა მომრგვალო არ არის და არის მკვეთრად გამოხატული გრანულები—ორივე ეს ფაქტი პლაზმის შე-დარებით მეტ სიბლანტეს მოწმობს.

დაბოლოს, ვარდისფერ (მეავე) უჯრედებში შევეთრად გამოხატული გრანულების წარმოქმნა და ნელი ტემპით მიმდინარე კუთხური პლაზმოლიზი პლაზმის მაღალი სიბლანტის მაჩვენებლებია [14, 13]. გრანულების მევეთრად გამოხატული წარმოქმნა შემჩნეულია იგრეთვე გახსნილი ბაგის უჯრედებშიც. დისპერსიულობის შესწავლა ბნელ არეზე იძლევა ანალოგიურ მრავალფეროვანებას. ყველაზე დაბალ დისპერსიულობას ვეგლებით ბაგის უჯრედებში; იგი გაცილებით უფრო დაბალია სხვა უჯრედთა დისპერსიულობასთან შედარებით და დაბალია საერთოდ: უჯრედთა ნათება ინტენსიურად თეთრია, ეპიდერმისის ყველაზე მეავე უჯრედებს—ბაგის მახლობლად მდებარე უჯრედებს—აგრეთვე დაბალი დისპერსიულობა აქვთ, მაგრამ მაინც უფრო მაღალი, ვიდრე ბაგის უჯრედებს: მათი ნათება მოთეთროა, მაგრამ სრულიადაც არ არის ისე ინტენსიური. ბაგეთაშორის უჯრედთა უმეტესობის ნათება უკვე გაცილებით ნაკლება: ამ უჯრედების ნათება მოცისფროა (უფრო მაღალი დისპერსიულობის მაჩვენებელი, ვიდრე თეთრი ნათების დროს), ან ნათება სრულიად არ არის (მაღალი დისპერსიულობა). ბნელი უჯრედები ეპიდერმისის ტუტე უჯრედებს წარმოადგენენ. ამრიგად, ამ შემთხვევაში, შეიძლება დავადგინოთ გარკვეული კორელაციის არსებობა დისპერსიულობასა, გამჭოლობასა, სიბლანტესა და უჯრედის pH-ს შორის. როგორც ცნობილია, დისპერსიულობის შემცირება, როდესაც რეაქცია უფრო მეავე ხდება, შეიძლება აიხსნას იმით, რომ პლაზმისა და ბირთვის კოლოიდები უარყოფითად იარიან დამუხტულნი; ჩვენი დაკვირვების შემთხვევაში სწორედ მეავიანობის გადიდებას სდევს თან დისპერსიულობის დაცემა. პლაზმის დადგენილი შედარებითი სიბლანტე ნუშში შებრუნებულ დამოკიდებულებაშია დისპერსიულობასთან: დისპერსიულობის შემცირებასთან ერთად სიბლანტე მატულობს.

უჯრედებში ნეიტრალროტის განაწილებას თუ განვიხილავთ, შეიძლება დავადგინოთ, რომ მხოლოდ ტუტე (მურა) ბაგეთაშორის უჯრედებს და ბაგის უჯრედებს აქვთ შელებილი გარსები, დანარჩენ უჯრედებში კი გარსები შეეღბილი არ არის. გარსიდან უჯრედის შიგნით დესორბციის პროცესი დაკავშირებულია მის მეტაბოლიზმურ აქტივობასთან, მის pH-თან და განსაკუთრებით კი სუნთქვასთან [10]. ჩვენს დაკვირვებებში ნუშის ეპიდერმისის ყველა უჯრედს, გარდა მკვეთრად ტუტე რეაქციის უჯრედებისა და ბაგის უჯრედებისა, შეუღებავი გარსები ჰქონდათ, რაც, როგორც სჩანს, მათი მაღალი ცხოველმოქმედების ინდიკატორს წარმოადგენს: ისინი შეესაბამებიან მომუშავე ფოთლის პარენქიმას და ენერგეტიკულად უფრო აქტიურია, მაშინ როდესაც მურა ფერის ბაგეთაშორისთვის უჯრედები, რომელთაც შეღებილი გარსები აქვთ—პასიური. ამას ასაბუთებს ზემოთ აღნიშნული მონაცემები მურა ფერის უჯრედთა ერთგვარი სუსტი მდგომარეობა. რაც შეეხება ბაგის უჯრედებს, რომელნიც უფრო ნაკლები სიმუჟვიანობით ხასიათდება, ვიდრე მათ ირგვლივ მდებარე უჯრედები, მაგრამ უფრო მეავენი, ვიდრე ეპიდერმისის ძირითადი მასა, უნდა ითქვას, რომ მათი გარსების შეღებვა შეიძლება რამდენადმე სხვანაირად დავასაბუთოთ: შესაძლებელია, რომ ეს გამოწვეული იყოს ისეთი ნივთიერებების არსებობით,

რომელნიც ქიმიურად უკავშირდებინ ფუძე საღებავებს, მთრიმლავ ნივთიერებათა მსგავსად, რომელნიც გარსებში მოიპოვება [2].

უჯრედთა ოქსირელუქციული პოტენციალის განსაზღვრის მიზნით გამოყენებული იყო შეღებვა ტოლუიდინბლაუთი. ტოლუიდინბლაუს შეღებითი რეაქციების სიმრავლე იისფერიდან (აღდგენიდან) დაწყებული კამკამამწვანე (დაუანგვით) ფერამდე უჯრედთა ცხოველმოქმედების ნათელ სურათს იძლევა. ბაგეთა ირგვლივ დაჯგუფებულია ლურჯწმუნებული დაუანგვითი რეჟიმის უჯრედები. ბაგეთაშორისი უჯრედების უმეტესობაც აგრეთვე დაუანგვითი რეჟიმის მქონეა, მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ დაუანგვითი რეჟიმის მქონენი არიან, მათ სხვადასხვაგვარი შეფერილობა აქვთ: ლაუგარდი ფერიდან კამკამა მწვანე ფერამდე, ე. ი. მათი დაუანგვითი პოტენციალი სხვადასხვაგვარია.

მთელი რიგი ავტორების აზრით, მათ მიერ მიღებულ მონაცემთა საფუძველზე რH-ის სიღიდე დამოკიდებულია უჯრედთა ფუნქციონალურ მდგომარეობაზე და მათ ქიმიზმზე [6, 8, 9]. ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ობიექტებში რH-ის სიღიდის შესახებ არსებულ მონაცემთა შედარება ამჟღავნებს პროტოპლაზმისა და უჯრედის წვერის უფრო აღდგენილ მდგომარეობას მცენარეულ უჯრედებში, ამასთან რაპკინს მიაჩნია, რომ მცენარეულ უჯრედთა უფრო დაბალი პოტენციალი დაკავშირებულია მათში აღდგენითი პროცესების ჭარბობასთან, ე. ი. იმ ნივთიერებებს, რომელთა სინთეზიც ქლოროფილის მონაწილეობით სწარმოებს, მეტი აღდგენითი თვისებები აქვთ. ჩვენს გამოკვლევებშიაც გვიხდებოდა შევენიშნა ის ფაქტი, რომ ფოთლის მეზოფილში შეხვედრილ უქლოროფილო უჯრედებს აქვთ მკვეთრად—დაუანგვითი რეჟიმი და ეპიდერმისის უჯრედებიც, რომელნიც მათ ზევით არიან მოთავსებულნი, აგრეთვე დაუანგვითი ავისებებისაა.

ამრიგად, ნუშის ფოთლის ეპიდერმისის გამოკვლევამ უწინარეს ყოვლისა გამოავლინა მისი უჯრედების რეაქციის მკვეთრად გამოსახული სხვადასხვაობა. ამ განსხვავებათა საფუძველს წარმოადგენს მათი როგორც მორფოლოგიური, ისე ფუნქციონალური თავისებურებანი. უჯრედთა გამოვლინებულ კოლოიდურ-ქიმიურ-ფიზიოლოგიურ სხვადასხვაგვარ თვისობრიობასთან დაკავშირებით ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ ქსოვილის (ამ შემთხვევაში ეპიდერმისის) ფიზიოლოგიური დახასიათების დროს არ შეიძლება ლაპარაკი ზოგადად ქსოვილის უჯრედთა რეაქციაზე. ქსოვილის ყოველ ცალკეულ უჯრედს, თავისი ფუნქციონალური როლის შესაბამისად, აქვს სპეციფიური, თუმცა-ლა რამდენად-მე მერყევი, მაგრამ საესებით განსაზღვრული ტიპიური თვისება: სწორედ ეს ტიპიურობა გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ იგი, როგორც ფიზიოლოგიური ნიშანთვისება. მეორე მხრივ, რაღაც განსხვავებანი ეპიდერმისის ცალკეულ უჯრედთა შორის არსებითად ფუნქციონალური ხასიათისაა, მათი ანალიზი წარმოდგენას მოგვცემს ფოთლის საერთო მოქმედების შესახებ.

### დასკვნები

1. ჩატარებულია ნუშის ფოთლის ეპიდერმისის უჯრედთა რეაქციების გამოკვლევა იმ მიზნით, რომ ამ რეაქციის მონაცემები გამოვიყენოთ თვით მცენარის დასახასიათებლად.

2. ფოთლის ეპიდერმისის უჯრედების რეაქციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეპიდერმისის უჯრედები სხვადასხვა თვისებისაა, ე. ი. ეპიდერმისის შემაღებელი უჯრედები მათი ფიზიოლოგიური და კოლოიდურ-ქიმიური თვისებების მხრივ ერთნაირი არ არის: დისპერსიულობის, გამჭოლობის, სიბლანტის, გრანულების წარმოქმნის, pH-ისა და tH-ის მხრივ, ამასთანავე ეს ნიშნები ურთიერთ შორის კორელაციურ დამოკიდებულებაშია.

3. ეპიდერმისის უჯრედთა სხვადასხვაგვარობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფოთლის ცხოველმოქმედებასთან. ეპიდერმისის უჯრედთა რეაქციები დამოკიდებულია მათ მდგომარეობაზე ბაგების მიმართ და იმ ქსოვილთა მორფოლოგიურ და ფუნქციონალურ თავისებურებებზე, რომელთაც ისინი ფარიავენ. ეს რეაქციები, თუმცადა მცირეოდენ მერყევია, მაგრამ სავსებით გარკვეული ზასიათისაა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 15.3.1945)

## ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ

Н. Т. КАХИДЗЕ

### ЦИТОФИЗИОЛОГИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ЭПИДЕРМИСА ЛИСТА МИНДАЛЯ

С целью использования эпидермиса листа для сравнительного анализа клеточных реакций у различных растений, проведено предварительное исследование эпидермальных клеток листа миндаля. В отношении возможности применения клеточных реакций для характеристики растений мы располагаем богатыми литературными данными, главным образом по определению pH и tH у различных растений и в различных тканях [5, 11].

Рассматривая клетки эпидермиса с нижней поверхности листа, прежде всего можно обнаружить тот факт, что содранный эпидермис не представляет собой собрания одинаковых клеток. Не только функционально специфичные клетки устьиц [15, 16], но и межустьичные клетки эпидермиса обнаруживают различия между собою в отношении коллоидных и тинкториальных свойств. Параллельное исследование поперечного среза листа позволило связать это разнохарактерное состояние эпидермальных клеток с жизнедеятельностью листовой паренхимы.

Для установления коллоидно-химического и физиологического состояния клеток проводились исследования на темном поле для определения дисперсности и применялось окрашивание нейтральротом (концентрацией 1 : 10000) и толуидинблау (1 : 10000). По оттенку окраски, полученной при

нейтральроте, определялось рН клеток, по интенсивности окраски—проницаемость их. По окраске толуидинблау устанавливался окислительно-восстановительный режим клеток.

При окраске клеток эпидермиса нейтральротом наблюдалось следующее распределение клеток в отношении рН. Устьица окрашены в розовый цвет, клетки, расположенные непосредственно около устьиц—розово-фиолетовые. Среди основной массы эпидермальных клеток (будем обозначать их как междуустычные) встречаются клетки главным образом мясокрасные и помидорно-красные и изредка бурье. Рассматривая полученные оттенки нейтральрота, как индикатор клеточного рН, можно установить определенную закономерность в отношении кислотного режима клеток эпидермиса. Наиболее кислыми являются розово-фиолетовые околоустычные клетки, несколько уступают им, но также достаточно кислые, клетки устьиц и клетки над жилкой, а среди междуустычных клеток можно наблюдать как щелочные (бурые), так и кислые и близкие к нейтральной реакции (помидорно-красные). Исследование поперечного среза листа позволяет связать различные клетки эпидермиса с тем или иным участком листа. Кислые клетки локально связаны главным образом с пустотами в листовой паренхиме. Отдельные, наиболее кислые из междуустычных клеток, как правило, располагаются над клетками паренхимы, лишенной хлорофилла и также кислой реакции.

Используя интенсивность окраски нейтральротом для определения проницаемости, можно установить, что наименьшей проницаемостью обладают устьичные клетки, несколько большую по сравнению с ними имеют бурые междуустычные клетки, т. е. резко щелочные, затем клетки розовые и мясокрасные, т. е. кислые и, наконец, помидорно-красные. Таким образом, в междуустычных клетках проницаемость возрастает по мере снижения кислотности.

При окраске нейтральротом в кислых клетках обычно можно наблюдать накопление гранул.

При помещении окрашенного нейтральротом участка эпидермиса в одномолярный раствор  $KNO_3$ , обнаруживаются резкие различия в поведении плазмолизируемых клеток. Хотя большинство из них имеют колпачковый плазмолиз, обусловленный действием ионов калия [4, 3], однако, форма колпачков у них несколько различная. Щелочные клетки, плазмолизирующиеся наиболее быстро (через 15 минут уже полный плазмолиз), имеют колпачки правильной округлой формы. Гранул около них нет, а видны вакуоли. При полном плазмолизе щелочных клеток обращает на себя внимание структуризация плазмы. Кроме того, в этих клетках в условиях гипертонии довольно быстро выпадают кристаллы нейтральрота. Характер плазмолиза и отсутствие гранул указывают на низкую вязкость плазмы этих

клеток, возникающая структуризация и выпадение кристаллов нейтральрота — на несколько подавленное состояние их.

Медленнее плазмолизируются клетки помидорно-красные, причем колпачки у них также округлые, дифузно окрашенные, но гранул еще нет.

В мясокрасных клетках форма колпачков неокруглая и имеются резкие гранулы — оба факта, свидетельствующие об относительно большей вязкости плазмы.

Наконец, в розовых (кислых) клетках, — резкое гранулообразование и медленно появляющийся уголковый плазмолиз являются показателями высокой вязкости плазмы [14, 15]. Резкое гранулообразование наблюдается и в открытых устьичных клетках.

Изучение дисперсности на темном поле дает картину аналогичного разнообразия. Наиболее низкая дисперсность наблюдается у клеток устьиц: она значительно ниже дисперсности других клеток и низкая вообще: сияние клеток интенсивно белое. Самые кислые клетки эпидермиса — околоустичные тоже имеют низкую дисперсность, но все же выше таковой клеток устьиц: они сияют беловатым светом, но отнюдь не так интенсивно. Сияние большинства междуустичных клеток уже значительно меньше: в них можно наблюдать как голубоватое сияние (более высокая дисперсность, чем при «белом сиянии»), так и отсутствие сияния (высокая дисперсность). Темные, несиящие клетки являются щелочными клетками эпидермиса. Таким образом, в данном случае можно констатировать наличие определенной корреляции между дисперсностью, проницаемостью, вязкостью и клеточным pH. Как известно, понижение дисперсности при сдвиге реакции в кислую сторону находит себе объяснение в данных, по которым коллоиды плазмы и ядра заряжены отрицательно [7]. В нашем случае повышение кислотности сопровождается падением дисперсности. Установленная относительная вязкость плазмы у миндаля находится в обратной зависимости от дисперсности: со снижением дисперсности вязкость возрастает.

Рассматривая распределение нейтральрота в клетках, можно установить, что только щелочные (бурые) междуустичные клетки и клетки устьиц имеют окрашенные оболочки, в остальных же клетках оболочки не окрашены. Процесс десорбции из оболочки внутрь клетки связан с ее метаболитической активностью, с ее pH, и в особенности с дыханием [10, 12]. В наших наблюдениях все клетки эпидермиса миндаля, за исключением резко щелочных и устьичных, имели неокрашенные оболочки, что, повидимому, является индикатором их высокой жизнедеятельности: они соответствуют работающей листовой паренхиме и более энергетически активны, в то время, как бурые междуустичные клетки с окрашенными оболочками являются пассивными. Подобная трактовка подкрепляется уже указанными данными о несколько угнетенном состоянии бурых клеток. Что касается устьичных клеток, являющихся менее кислыми, чем окружающие их клетки, и

более кислыми, чем основная масса эпидермиса, то окраска их оболочек возможно имеет несколько иное обоснование: она может быть обусловлена наличием веществ, химически связывающих основные краски, подобно дубильным веществам, находящимся в толще оболочек [2].

Для определения оксиреакционного потенциала клеток применялось реактивное окрашивание краской толуидинблау. Богатство красочных реакций толуидинблау от фиолетового (восстановительного) до яркозеленного (окислительного) даёт ясную картину жизнедеятельности клеток. Вокруг устьиц группируются синезеленые, окислительного режима клетки. Среди межустьичных клеток большинство также окислительного режима, однако будучи окислительными, они имеют различную окраску: от цвета лазури до яркой зелени, т. е. окислительный потенциал у них различный.

По мнению ряда авторов, на основании полученных ими данных, величина  $tH$  зависит от функционального состояния клеток и от химизма их [6, 8, 9]. Сравнение данных о величине  $tH$  у зоологических и ботанических объектов обнаруживает более восстановленное состояние протоплазмы и клеточного сока в растительных клетках, что стоит в связи с тем, что вещества, синтезирующиеся при участии хлорофилла, обладают большими восстановительными свойствами. В наших исследованиях также приходилось наблюдать тот факт, что встречающиеся в мезофиле листа клетки без хлорофилла имеют окислительный режим, а клетки эпидермиса, расположенные над ними, также окислительные.

Таким образом, исследование эпидермиса листа миндаля прежде всего столкнуло с фактом резко выраженной разнохарактерности реакций его клеток. Основой этих отличий являются как морфологические, так и функциональные их особенности. Обнаруженная колloidно-химическая и физиологическая разнокачественность клеток ставит вопрос о том, что при физиологической характеристики ткани, в данном случае эпидермиса, нельзя говорить о клеточных реакциях ткани вообще. Каждая из клеток ткани в соответствии со своей функциональной ролью, имеет специфические, хотя и несколько варьирующиеся, но вполне определенные типовые характеристики. С другой стороны, так как различия в поведении отдельных клеток эпидермиса в основе функционального характера, описание их даёт представление об общей жизнедеятельности листа.

Академия Наук Грузинской ССР  
Тбилисский Ботанический институт

## CYTOPHYSIOLOGICAL STUDIES OF LEAF EPIDERMIS IN ALMOND

By N. KACHIDZE

## Summary

1. In this paper the cell reactions of leaf epidermis of almond are investigated in order to apply the specificity of reactions for the characteristics of plants.
2. The analysis of cell reactions shows, that the epidermal cells of one leaf are clearly different in respect of their physiological and colloid-chemical properties: dispersity, permeability, viscosity, pH, rH and process of granula formation. The difference may be observed between the stomata cells, the cells adjoining to them, the cells, situated over the fibres and so on.
3. The reactions of epidermal cells are due to their metabolism and are closely connected with physiological peculiarities of underlying mesophyll cells.
4. The reactions varie to some extent, but are typical enough.

Academy of Sciences of the Georgian SSR

Botanical Institute

Tbilissi

## СОТОКЕЗУЛЮ ФОТОГРАФИИ—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. Александров, В. Я. О защитном значении для клетки гранулярного связывания витальных красителей. Архив анат. гист. и эмбриол., 1939, в. 222, стр. 67.
2. Brauner, L. Zur Frage der postmortalen Farbstoffaufnahme von Pflanzenzellwänden, 1933. Flora 127, S. 190.
3. Cholodny, N und Sankewitsch, E. Plasmolyseform und Ionenwirkung. Protoplasma, 1934, B. 20, S. 57.
4. Höfle, K. Kappenplasmolyse und Salzpermeabilität. Ztschrift f. wiss. Mikroskopie, 1934, B. 51.
5. Joyet-Lavergne, Ph. La physico-chimie de la sexualité, 1931.
6. Красинский, Н. Окислительно-востановительный потенциал клеток высших растений. Ботанический журнал СССР, 1936, т. 21, № 5.
7. Насонов, Д. и Александров, В. Реакция живого вещества на внешние воздействия, 1940.
8. Rapkine, L. Le potentiel reduction et les oxydations. Comptes Rendus de la Soc. de Biologie, 1927, v. 96.
9. Rapkine, L. et Wurmser, R. Sur le potentiel de reduction des cellules vertes. C. R. de la Soc. de Biologie, 1926, v. 94.
10. Сабинин, Д. Минеральное питание растений, 1940.
11. Small, J. Hydrogen Ion Concentration in Plant Cells and Tissues. Protoplasma. Monographien, 1929, v. II.

12. Strugger, S. Beiträge zur Analyse der Vitalfärbung pflanzlicher Zellen mit Neutralrot. *Protoplasma*, 1936, B. 26.
13. Штруггер, З. Практикум по физиологии растительных клеток и тканей, 1930.
14. Weber, F. Plasmolyseform und Protoplasmaviskosität. *Oesterreich. Bot. Zeitschr.* B. 73, № 10—12, 1924.
15. Weber, F. Protoplasmatische Ungleichheit morphologisch gleicher Zellen. *Protoplasma*, 1932, B. 15. S. 293.
16. Weber, F. Zur Permeabilität der Schliesszellen, *Protoplasma*, 1933, B. 19, S. 452.

მცენარეთა ფიზიოლოგია

თ. ქაველი, ლ. ჯაფარიძე და ქ. ტარასაშვილი

C-30 ტამინის ღინამინა ხურმაში (*DIOSPYROS LOTUS L.*)

С-ვიტამინის შემცეველი მცენარეული ნედლეულის ძიება დიდი ინტენსიუმით მიმდინარეობს. გამოვლინებულია მთელი რიგი მცენარეებისა, რომელთაც უკვე დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვთ, ასეთებია: ასკილი, ლელი, ფოჭვი, ნიგვზის ხე და სხვა.

წინამდებარე წერილში მოგვყავს ვიტამინის ღინამიკა ხურმაში—*Diospyros lotus L.*, რომელიც ვიტამინის სიმდიდრო აღნიშნულ მცენარეებს არ ჩამოუვარდება. ხურმა გავრცელებულია რუსეთის სფსრ-ს სამხრეთში, შუაზინის რესპუბლიკებში და კავკასიაში. აქ განსაკუთრებით ბევრია აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისისა და ლენქორანის ტყეებში. დასავლეთ საქართველოში ხურმას იყენებენ ვაზის მაღლარისათვის, რაღაც კარგად იტანს გასხვლას და, როგორც სინათლის მცენარე, არა ჩრდილავს ვაზს.

С-ვიტამინის განსაზღვრას ვაწარმოებდით ტილმანსის მეთოდით (ლავროვისა და იარუსოვას აღწერილობის მიხედვით) ხურმის ერთწლიან ყლორტებში და ფოთლებში ერთნაირად განვითარებულ და ერთიდაიგივე ხნოვანების მამრობით და მდედრობით ხეებიდან, რომლებიც იზრდებიან თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ანალიზებს ვაწარმოებდით 1944 წლის ოქტომბერისა, მაისსა, ივლისსა და სექტემბერში. თითოეულ თვეში ვახდენდით სამ-სამ განსაზღვრას, დროის ერთნაირ ინტერვალებში; 1-ლ ცხრილში მოგვყავს საშუალოები ამ განსაზღვრებიდან.

С-ვიტამინის შემცელობა ხურმის ფოთლებსა და ყლორტებში (mg %)  
 ცხრილი—Таблица I

თარიღი—дата	♂				♀			
	ყლორტი Побег	ფოთოლი Лист	ყლორტი Побег	ფოთოლი Лист	ყლორტი Побег	ფოთოლი Лист	ყლორტი Побег	ფოთოლი Лист
ნედლ წონაში На сухой вес	ნედლ წონაში На сухой вес	ნედლ წონაში На сухой вес	ნედლ წონაში На сухой вес	ნედლ წონაში На сухой вес	ნედლ წონაში На сухой вес	ნედლ წონაში На сухой вес	ნედლ წონაში На сухой вес	ნედლ წონაში На сухой вес
თბერვალი—февраль . . . . .	119	209	—	—	119	231	—	—
მაისი—მაი . . . . .	300	703	944	4103	318	788	1147	5496
ივლისი—იული . . . . .	270	639	663	2802	292	640	899	3488
სექტემბერი—сентябрь . . . . .	326	682	1189	3215	331	736	1299	5512

როგორც ირკვევა, C-ვიტამინი ხურმის ყლორტებსა და ფოთლებში დიდი რაოდენობით გეხვდება მაისისა და სექტემბრის თვეებში, ამავე დროს ფოთლები შედარებით ყლორტებთან უფრო მდიდარი არიან ვიტამინით, რაც უფრო მდედრობით მცენარეებისათვის არის დამახასიათებელი. ვიტამინი გვხვდება მხოლოდ აღდგენილი ფორმის სახით.

ოქტომბრიდან ნაყოფებმა დაიწყო შეყვითლება. ამ პერიოდიდან ჩვენ ვსაზღვრავდით C-ვიტამინს ყოველ ხუთ დღეში ერთხელ ნაყოფის სრულ მომწიფებამდის, როგორც ნაყოფებში ისე ფოთლებში.

ვიტამინის შემცველობა mg % ხურმის ფოთლებსა და ნაყოფებში

ცხრილი—Таблица 2

თარიღი—მათა	♂		♀			
	ფოთლები Листья	ფოთლები Листья	ნაყოფები Плоды	ნაყოფები Плоды	ფოთლების და ნაყოფების განვითარების ფაზა	
	ნედლ წინაშე На сырой вес	ფოთლების და ნაყოფების განვითარების ფაზა				
16/X	1269	1645	1277	1869	93	184
21/X	1041	1466	1101	1551	137	194
26/X	318	1077	958	1277	120	169
I/XI	731	962	822	1082	120	189
5/XI	516	774	646	910	142	199
10/XI	425	709	516	920	133	171

ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ ხურმის ფოთლებში, მათ მობერებასთან დაკავშირებით, მცირდება ვიტამინის რაოდენობაც, ნაყოფებში კი მერყეობს და უფრო ზრდის ტენდენცია აქვს.

15 ნოემბრიდან დაიწყო მასიური ფოთოლცვენა. 25 ნოემბრიდან, როდე-

თარიღი—дата	♂						♀						ფოთლების მდგომარეობა Состояние листьев	
	ნედლ წონაზე На сырой вес			მშრალ წონაზე На сухой вес			ნედლ წონაზე На сырой вес			მშრალ წონაზე На сухой вес				
	აღდებითი Восстановленная	დატბული Окисленная	საერთო რაოდენობა Сумма	აღდებითი Восстановленная	დატბული Окисленная	საერთო რაოდენობა Сумма	აღდებითი Восстановленная	დატბული Окисленная	საერთო რაოდენობა Сумма	აღდებითი Восстановленная	დატბული Окисленная	საერთო რაოდენობა Сумма		
25/XI	260	8	268	377	11	388	283	17	300	411	25	436	ერთი დღე-ღამე მიწაზე. Одни сутки на земле.	
30/XI	237	10	247	304	13	317	267	17	284	372	24	396	ხუთი დღე-ღამე მიწაზე. Пять суток на земле.	
5/XII	233	12	245	311	17	328	243	17	260	342	24	368	10 დღე-ღამე მიწაზე. ფოთლები ხემბა. 10 суток на земле, листья начали сохнуть.	
10/XII	221	12	233	276	17	293	235	17	252	294	22	316	15 დღე-ღამე მიწაზე. დიდი უმრავ- ლესობა გახმა და დალპა. 15 суток на земле, большое количества посохло и погнило.	

საქართველოს მეცნიერებების  
აკადემიის მიერ გამოქვეყნილი  
ცხრილის მდგომარეობა  
Состояние листьев  
C-ების დატბული და მშრალი ფოთლები  
გამოქვეყნილი და გამოსახული არ გამოიწვევა  
283

მე-3 ცხრილში მოყვანილი მასალა გვიჩვენებს, თუ როგორი თანდათან-  
 ბით კლებულობს C-ვიტამინი ჩამოცვენილ ფოთლებში და რომ ხურმის ფოთ-  
 ლებში დეგიდროფორმა ჩნდება მხოლოდ ჩამოცვენის შემდეგ, მანამდის კი ის  
 მხოლოდ აღდგენილი ფორმის სახით გვხვდება.

### დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

ხურმის ნაყოფი, ყლორტები და ფოთლები დიდი რაოდენობით შეიცავენ  
 C-ვიტამინს. განსაკუთრებით მდიდარია ფოთლები.

ხურმის ყლორტები და ფოთლები გაზაფხულსა და შემოდგომაზე შეიცა-  
 ვენ C-ვიტამინის მაქსიმალურ რაოდენობას. ზაფხულში კი ვიტამინი შედარე-  
 ბით ნაკლები რაოდენობით არის. ნაყოფებში C-ვიტამინი მერყეობას განიცდის  
 და მომწიფების სტადიაში ზრდის ტენდენცია აქვს.

ხურმის ფოთლები C-ვიტამინის სიმდიდრით არ ჩამოუვარდებიან ასკი-  
 ლის ნაყოფება და ფიჭვის წიწვებს. ამ მხრივ შესაძლებელია, რომ მათ ისე-  
 თივე გამოყენება მიეცეს, როგორც ასკილსა და ფიჭვს.

ხურმის ფოთლებში C ვიტამინი განსაკუთრებით გამძლეა და ინახება დი-  
 დი რაოდენობით მიწაზე დაცვენის შემდეგაც.

ხურმის ფოთლების გამოყენება C-ვიტამინის მიღების მიზნით შესაძლებე-  
 ლია გაზაფხულიდან შემოდგომამდე. მაგრამ, ნაყოფების მომწიფების უზრუნველ-  
 ყოფის ოვალსაზრისით, უმჯობესია მდედრობითი ხეებიდან ფოთლის აღება და-  
 იწყოს ოქტომბერში.

საკართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 ბოტანიკურის ინსტიტუტი  
 ახატოშინისა და ფიზიოლოგიის განყოფილება  
 თბილისი

(შემოგიდა რედაქციაში 1.3.1945)

### ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ

Т. А. КЕЗЕЛИ, Л. И. ДЖАПАРИДЗЕ и К. М. ТАРАСАШВИЛИ

### ДИНАМИКА ВИТАМИНА С В ХУРМЕ (*DIOSPYROS LOTUS L.*)

#### Резюме

В настоящем сообщении приводятся данные по динамике витамина С в хурме—*Diospyros lotus L.*

Определение витамина С велось методом Тильманса (согласно про-  
 писи Лаврова и Ярусовой) в однолетних побегах и листьях с нововоз-  
 растных и одинаково развитых мужских и женских деревьев, произрас-  
 тающих в Тбилисском Ботаническом саду.

Анализы проводились в феврале, мае, июле и сентябре 1944 года. В таблице 1 даны средние из трех определений для каждого месяца, отдельно для листьев и побегов. Эти данные показывают, что у хурмы витамин С встречается в максимальном количестве весной и осенью, причем листья значительно богаче побегов, что особенно характерно для женских деревьев.

С октября, когда плоды начали созревать, определение витамина С в листьях и плодах велось каждые пять дней. Результаты анализов приведены в таблице 2.

С 25 ноября определение витамина продолжалось в опавших листьях.

Оказалось, что после листопада витамин С начинает уменьшаться в количестве, причем появляется его дегидроформа.

### Выводы

Хурма (*Diospyros lotus* L.) содержит витамин С в значительных количествах, причем особенно много его в листьях (свыше 1,000 mg%). Как листья, так и однолетние побеги наиболее богаты витамином весной и осенью. Летом содержание в них витамина несколько снижается.

В листьях витамин остается в значительных количествах даже после их опадения осенью. В созревающих плодах содержание витамина С колеблется, показывая тенденцию к увеличению.

Использование листьев хурмы, с целью извлечения витамина С, может осуществляться в течение всей вегетации. Однако, в связи с обеспечением созревания плодов, листья с женских деревьев желательно брать не ранее октября.

Академия Наук Грузинской ССР  
Тбилисский Ботанический Институт

Отдел Анатомии и Физиологии

განვითარების მიმართა

6. მანუსილოვა

თვალის წარმოქმნა თავის ტიპიდან *ANURA*-ს საშუალო ნიტოლის  
თვალის არეში ღვრძის მეზოდერმის გადანერგვის დროს

შპემანის მიერ ორგანიზაციული ცენტრის აღმოჩენამდე თქმა თვალის შესახებ წარმოადგენდა განვითარების მექანიკის ძირითად თემას, რომელიც შეიცავს ორ დამოუკიდებელ თემას: 1) საკუთრივ თვალის, ე. ი. შუქშემგრძნობი ნაწილის — რეტინის ფორმის წარმოქმნას და 2) თვალის შუქშემტეხი ნაწილის — ბროლის ფორმის წარმოქმნას. სწორეთ ამ უკანასკნელი თემით დაწყებული იყო თვალის განვითარების ექსპერიმენტული შესწავლა; გამორკვეული იყო, რომ ბროლის განვითარება დამოკიდებულია თვალის ბუშტზე და რომ ბროლი შეიძლება განვითარდეს ნეიტრალური, ტანის ეპითელიდანაც; შესწავლილ იქნა აგრეთვე ბროლის წარმოქმნის სახეობრივი თავისებურებანიც. ეს თემა დამუშავებულია გაცილებით უფრო სრულად, ვედრე პირველი, რაც უნდა აისნას პირველ რიგში იმით, რომ ბროლის განვითარების დროს ჩვენ გვაქვს იმ გავლენის მქაფიოდ შემოფარგლული წყარო, რომელიც წარმართავს თვალის მფარავ ეპითელის განვითარებას ბროლის წარმოქმნის მიმართულებით. პირიქით, თვალის წარმოქმნის შემთხვევაში ცნობილია მხოლოდ ის მასალა, რომლისაგანაც ვითარდება ეს ორგანო, ხოლო თუ რა ფაქტორების გავლენით ხდება ეს განვითარება — ამის შესახებ თქმა ჩვენ ახლაც არ შევგვძლია და ვკაყიყოფილდებით მხოლოდ ფორმატიული მოქმედების ფაქტის აღნიშვნით. ცნობილია, რომ პირველადი ნაწლავის სახურავის წინა ნაწილი გასტრულის ექტოდერმის ქვეშ გადანერგვის დროს იწვევს ექტოდერმიდან თავის ტვინისა და მისი დერივატების, მათ შორის თვალის ბუშტების განვითარებას. მაგრამ რა ფაქტორების გავლენით ვითარდებიან ეს უკანასკნელები, არაან თუ არა დამოუკიდებელი ეს ფაქტორები, თუ წარმოადგენენ ფაქტორთა კომპლექსს, რომელიც პირობებს საერთოდ მოელი თავის წარმოქმნას მისი დერივატებითურთ — ამის შესახებ ძნელია რამის თქმა. საერთოდ, თვალის წარმოქმნის პროცესში ჩვენ ჯერ ბევრი რამ ბუნდოვანი გვაქვს და ამიტომ საჭიროა ზედმიწევნითი კვლევის ჩატარება, ვინაიდან ყოველი, თუნდაც მცირე სისტემის მართვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვეცოდინება თვით ეს სისტემა, წანააღმდეგ შემთხვევაში ყველა ჩვენი ცდა უშედეგო იქნება. საჭიროა ვიცოდეთ მასალის ფორმის წარმომქმნელი შესაძლებლობანი, ფორმატიული მოქმედების წყაროები და ამ უკანასკნელთა ლოკალიზაცია. ამიტომ თვალის განვითარების შესწავლა წარმართულ უნდა იქნას, უპირველესად ყოვლისა, ფორმატიული წყაროების შესწავლის მიმართულებით, რადგანაც მათი ტოპოგრაფიული ფარგლები ჩვენთვის ჯერ-ჯერობით სრულიად უცნობი რჩება.

შემთხვევითმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თვალის აღდგენა თავის ტვი-ნიდან ხდება უფრო ხშირად მაშინ, როდესაც ნეირულის სტადიაში თვალის მასალის ექსტირპაციის შემდეგ ამ მასალის ადგილს გადანერგილი იყო ზურ-გის ტვინი ღერძის მეზოდერმასთან ერთად.

ამ მოვლენის დასადასტურებლად სპეციალურად დაყენებულ იქნა წინა-მდებარე შრომაში აღწერილი ცდები, რომლებიც გამოიხატებოდა ქორდისა და, ცალკე, ღერძის მეზოდერმის გადანერგვაში—თვალის წარმოქმნისათვის მათი ფორმატიული მნიშვნელობის გამორკვევის მიზნით. ამასთან ერთად, ჩატარებულ იქნა აგრეთვე თავის ტვინის გადანერგვის ცდებიც—ამ ტვინის ცალკე განყოფილებების თვალის წარმოქმნელი უნარის გამორკვევის მიზნით.

ცდების სამივე სერიაში ოპერაცია გამოიხატებოდა იმაში, რომ ნეირულის სტადიაში ხდებოდა თვალის მასალის ექსტირპაცია და მის ადგილას გა-დაირგვებოდა გამოსაცდელი მასალა, ე. ი. ერთ შემთხვევაში—ქორდის, მეორე შემთხვევაში—მეზოდერმისა და მესამე შემთხვევაში—თვალის ტვინის მასალა. პირველ ორ სერიაში შესასწავლი იყო გადანერგილი მასალის ფორმატიული მნიშვნელობა, ხოლო მესამე სერიაში—თვალის ტვინის ფორმატიული რეაქცია.

ოპერაციების უმეტესი ნაწილი ჩატარებულია საშუალო ნეირულის სტა-დიაში, მაგრამ, გარდა ამისა, ჩატარდა ისეთი ოპერაციებიც, რომლების დროს დონორი ან რეციპიენტი იმყოფებოდა ნერვული ფირფიტის სტადიაში ან, პირ-იქით, გვიანი ნეირულის სტადიაში, როდესაც ნერვული ლილვაკები უკვე იწყე-ბენ შეკვრას. თვალის ადგილას ტრანსპლანტატის გადანერგვისას საჭირო იყო პირველი ორი საათის განმავლობაში თვალყურის დევნება იმისათვის, რომ ტრანსპლანტატი არ ამოგდებულიყო ჭრილობის შეხორცების დროს.

ყველა ცდა შესრულებულია *Rana ridibunda*-ს ჩანასახებზე. ოპერირებული ჩანასახები იზრდებოდნენ 13—14 დღის განმავლობაში, მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილი დაფიქსირდა ოპერაციიდან 5—6 დღის შემდეგ.

ჩანასახების ფიქსაცია ხდებოდა ბურნის სითხის საშუალებით, რის შემდეგ ისინი ტოტალურად იღებებოდნენ ბორის კარმინით.

სამივე სერიის საცდელი მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ნეირულის სტადიაში თვალის მასალის ექსტირპაციის შემდეგ თვალი ვითარდება მხო-ლოდ იმ სერიაში, რომელშიაც მოშორებული მასალის ადგილას გადაინერგებოდა ღერძის მეზოდერმა.

ქორდისა და თავის ტვინის გადანერგვის ცდების შედეგები ერთნაირი აღმოჩნდა იმ მხრით, რომ ორივე შემთხვევაში ტრანსპლანტატი ვითარდებოდა თავისი წარმოშობისამებრ: მომავალი ქორდის მონაკვეთი ვითარდებოდა ქორ-დად, ხოლო თავის ტვინის ტრანსპლანტატი ან შეეზრდებოდა რეციპიენტის ტვინს და ისეთ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა ტვინის გადიდებული განყოფი-ლება და მისი დიდი ღრუ, ან და ტრანსპლანტატი ვითარდებოდა დამოკიდებ-ლად როგორც ტვინის განყოფილება.

ქორდის გადანერგვის ყველა შემთხვევაში ტრანსპლანტატი დევს ტვინის ახლოს, იმ ადგილას, საღაც ტიპიური განვითარებას დროს ტვინიდან გამო-დის თვალის ყუნწი. არც ერთ შემთხვევაში თვალის ჯამი არ წარმოქმნილა,

მიუხედავათ იმისა, რომ ჩანასახები დაფიქსირებული იყვნენ 13-14 დღის შემდეგ, რაც სრულიად საქმარისი იქნებოდა თვალის ჯამის განვითარებისათვის.

მომავალი თავის ტვინის გადანერგვის სერიაში თვალის ჯამი და ბროლი გაუვითარდა 20 ჩანასახიდან ოთხს; თოხივე შემთხვევაში ტრანსპლანტაცია აღმოჩნდა დაშორებული თვალს კაუდალურად. ამგვრად, თვალის განვითარება მოხდა გადანერგილი თავის ტვინის მონაწილეობის გარეშე და წარმოადგენს თვალის არა მთლიანად მოშორებული მასალის რეგულაციის შედეგს. თვალის ჯამების მცირე ზომა მოწმობს ამ აზრის სისწორეს. იმ დანარჩენი 16 შემთხვევიდან, სადაც ტრანსპლანტაცია აღმოჩნდა თვალის დონეზე და, შეზარდა რა რეციპიენტის ტვინს, წარმოქმნა ტვინის მოხრდილი განყოფილება, — არც ერთ ჩანასახს თვალის ჯამი არ გაუვითარდა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ნეირულის თავის ტვინს ჯერ კიდევ აქვს უნარი შესცემლის თავისი ტიპიური განვითარების გზა და ახალ გარემოცვაში განვითარდეს თვალად, მსგავსად იმისა, როგორც ეს აღნიშნული აქვს უმანსკის [2] ზურგის ტვინის მიმართ. მაგრამ აյ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ტრანსპლანტაცია ვითარდება თავისი წარმოშობის შესაბამისად, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევებს, როდესაც ის შეეზრდება რეციპიენტის ტვინს და გადაიქცევა თავის ტვინის სხვა განყოფილების შემადგენელ ნაწილად და არა იმ განყოფილების ნაწილად, რომელსაც ის წარმოქმნიდა ადგილზე თაროვების შემთხვევაში.

ამგვარად, საშუალო ნეირულის თავის ტვინი თვალის მასალის ადგილზე გადანერგვის შემდეგ არ ვითარდება თვალად.

რაც შეეხება სომიტეტის მასალის ტრანსპლანტაციის სერიას, უნდა ილიშნოს, რომ, ორი წინა სერიისაგან განსხვავებით, ოპერირებულ ჩანასახთა უმრავლესობას გაუვითარდა თვალი. თვალის დიფერენცირების ხარისხისა და მისი ტოპოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სერიის შედეგები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ერთ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ის შემთხვევები, სადაც ოპერაციის შემდეგ წარმოქმნილი თვალი შეერთებულია ტვინთან და იმყოფება განვითარების უფრო ადრეულ სტადიაში, ვიდრე ის თვალები, რომლებიც ჩვენ მიეკუთვნეთ შედეგების მეორე ჯგუფს, ე. ი. თავისუფლად მდებარე თვალის ჯამები ბროლით. ეს უკანასკნელები ისევე განვითარებული, როგორც ნორმალური თვალი მარცხნა, არაოპერირებულ მხარეზე და განსხვავდებიან მხოლოდ ნაკლები ზომით.

ტვინთან შეერთებული ჯამები — ოპერაციიდან 13-14 დღის შემდეგ ფიქსაციის შემთხვევაშიაც კი წარმოადგენენ თითქოს ტვინის გამონაზნექს სუსტად გადალუნული კიდევებით, რეტინის უწესრიგოდ განლაგებული უჯრედებითა და არათანაბრად განვითარებული პიგმენტური გარსით; ბროლში მხოლოდ ისახება ბოჭკოვანი ნაწილი. ტრანსპლანტაცია უფრო წინაა მოთავსებული და ამიტომ არ გვხვდება ჯამის შუა ანათლებზე, ვინაიდან თავის განივად დაჭრის დროს ის უფრო ადრე იჭრება, ვიდრე თვალი. ტრანსპლანტაციი განიცდის დიფერენცირების კუნთურ უჯრედებად.



ერთ შემთხვევაში თვალი შეერთებულია ტვინის ზემო განყოფილებასთან, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ტვინის ამ განყოფილებასაც შეუძლია განვითარდეს თვალად. I ჯგუფის ყველა ათ ჩანასახს თვალის ჯამი ერთნაირად აქვთ განვითარებული—ისე, როგორც ზემო აღწერილ შემთხვევაში და განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ზოგიერთ ჩანასახს არ გაუვითარდა ბროლი. ეს უკანასკნელი აისნება იმით, რომ ამ ჩანასახებში ახლად წარმოქმნილი თვალის ჯამი უფრო დაშორებულია ეპითელისაგან, როს გამო ბროლის წარმოქმნა გაძნელებულია.

აღსანიშნავია, რომ ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ახლად წარმოქმნილი თვალი შეერთებულია ტვინთან, მოიპოვება მეზოდერმული წარმოშობის ტრანსპლანტაცი, მაგრამ თუ ავიღებთ იმ ჩანასახებს, რომლებსაც ტრანსპლანტაცი აღმოაჩნდათ თვასის ტვინის ახლოს თვალის დონეზე, უნდა ითქვას, რომ არა ყველა შემთხვევაში წარმოიქმნა თვალის ჯამი: 15 ასეთი ჩანასახიდან თვალი გაუვითარდა ტვინიდან 10 ჩანასახს, 5 დანარჩენი ჩანასახის ტვინის კედელში არ აღინიშნება არავითარი ცვლილება და ოპერირებულ მხარეზე თვალი არ განვითარდა. დანარჩენ 19 ჩანასახს ტრანსპლანტაცი აღმოაჩნდა თვალის დონიდან უფრო კაუდალურად ლოკალიზებული ან ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად არა ჩანს. ამ 19 ჩანასახს შორის რვას გაუვითარდა თვალის ჯამი და ბროლი; ეს შემთხვევები ჩვენ მიგაკუთხენთ II ჯგუფს. ყველა ამ 8 ჩანასახის *tafelum-i* ძლიერ პიგმენტირებულია, ხოლო რეტინა დიფერენცირებულია შრეებად, ბროლის ღრუ კი ამოვსებულია ბოჭკოვანი უჯრედებით. ყველა შემთხვევაში თვალი ისევეა განვითარებული, როგორც ამავე ჩანასახებს არაოპერირებულ მხარეზე და განსხვავდება მხოლოდ ნაკლები ზომით.

შეიძლებოდა გვეთიქრა, რომ ის ორი ჯგუფი, რომლებადაც მე დავყავი სერიის შედეგები, წარმოადგენს თვალის განვითარების მხოლოდ ორ სხვადასხვა სტადიას: პირველ ჯგუფისათვის მიკუთხენებულია ის შემთხვევები, სადაც თვალი ჯერ ტვინის გამონაზარდს წარმოადგენს და ამის შესაბამისად ნაკლებადაც არის დიფერენცირებული, ვიდრე იმ ჩანასახების თვალი, რომლებიც მიკუთხენებულია II ჯგუფისათვის და რომლებშიაც არ არის აღმოჩენილი კავშირი თვალსა და ტვინს შორის. თვალს ჯამი ორ აღნიშნულ ჯგუფში, უეჭველია, არა ერთნაირადა განვითარებული, მაგრამ ეს განსხვავება შემთხვევითი არ არის და აისნება ჯამების არაერთნაირი წარმოშობით: ერთ შემთხვევაში თვალის ჯამები მეორადად წარმოიშვნენ ტვინიდან და ჯერ კიდევ შეერთებული არიან მასთან, მეორე შემთხვევაში კი ჯამები მდებარეობენ თვაისუფლად და განვითარდნენ ტიპიური თვალის მასალის იმ ნაწილიდან, რომელიც ოპერაციის დროს შემთხვევით დარჩა ადგილზე.

გარდა ამისა, პირველი ჯგუფის ყველა ჩანასახში არის მეზოდერმული ტრანსპლანტაცი, მეორე ჯგუფში კი ტრანსპლანტაცი ან სრულიად არ არის, ანდა იმყოფება თვალის დონიდან გაცილებით უფრო კაუდალურად. ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ პირველ ჯგუფში თვალი განვითარდა ტვინიდან და ამაში არ შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონოდა ტრანს-

პლანტატის გავლენას. სწორედ ამით განხვავდება პირველი ჯგუფი მეორისა-გან; ხოლო ამ უკანასკნელში თვალის ჯამები ტვინიდან არ განვითარდნენ და მათ წარმოქმნას კავშირი არ ჰქონდა გადანერგილ მეზოდერმასთან. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება წამოყენებულ იქნას შემდეგი მოსახრება: თუ თვალის ჯამის წარმოქმნა შესაძლებელია იქ, სადაც სომიტების ტრანსპლანტატი არ არის აღმოჩენილი, მაშინ ის შემთხვევებიც, სადაც თვალის ჯამები განვითარდნენ ამ ტრანსპლანტატის გვერდით, განხილულ უნდა იქნას როგორც იმავე ფაქტორების მოქმედების შედეგი, რომლებიც აპირობებენ თვალის წარმოქმნას ტიპიური განვითარების დროსაც და რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებელი არიან გადანერგილი სომიტებისაგან. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ თვალის არეში მეზოდერმული ტრანსპლანტატის არსებობის შემთხვევაში ჩანასახთა უმრავლესობის ახლად წარმოქმნილ ჯამი შეერთებულია ტვინთან და უფრო სუსტადა განვითარებული, ვიდრე იმ ჩანასახებში, რომლებიც დაფიქსირებული იყვნენ იმავე ვადაში, მაგრამ რომლებსაც ყოველ შემთხვევაში თვალის დონეზე არ გააჩნდათ ტრანსპლანტატი, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ექსპერიმენტში ტვინიდან თვალის ჯამის განვითარება ხდება სომიტების გავლენის მონაწილეობით. ასეთი დასკვნის სასარგებლოდ მოწმობენ აგრეთვე ქორდისა და თავის ტვინის გადანერგვის ცდებიც: მართლაც, თუ შესაძლებელია თვალის ჯამის მეორადი განვითარება ტვინიდან სომიტების მასალაზე დამოუკიდებლად, მაშინ გაუგებარი რჩება, თუ რატომ ეს არ ხდება თვალის ექსტრირაციებული მასალის ადგილას ქორდისა და თავის ტვინის გადანერგვის დროს. ზევით კი იყო აღნიშნული, რომ ამ ორ სერიაში ადგილი არ ჰქონდა თვალის წარმოქმნას ტვინიდან, ხოლო 4 ჩანასახის თავისუფლად მდებარე თვალის ჯამები განვითარდნენ თვალის მასალის ნარჩენებიდან.

